

ტურიზმის განვითარება

I ფაზა

2019 წლის 25 აპრილს, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პირველადი წარდგენა და შეფასება მოხდა. სტრატეგია 2018 წელს დამტკიცდა და ის 2025 წლამდე დარგი განვითარების გეგმას მოიცავს.

სტრატეგია, 2025 წლისათვის, შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს ითვალისწინებს:

- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე;
- დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7.9%-ს;
- ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე;
- ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158,515-დან 301,284-მდე;
- ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე;
- ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მილიონი აშშ დოლარიდან 1,178 მილიონ აშშ დოლარამდე;
- დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება;

გაიმართა **დისკუსია**, რომელსაც დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დირექტორი, მარიამ ქვრივიშვილიც ესწრებოდა. გაიჟღერა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრებამ, კერძოდ:

- აუცილებელია რეკლამის არხები ეფექტიანობის შეფასება. შესაძლოა, ციფურლ მარკეტინგზე კონცენტრაცია უფრო შედეგის მომტანი იყოს;
- სასურველია, ხარისხის გაზრდის მიზნით, პოზიტიური სტიმულების არსებობა. კერძოდ, შეფასების ობიექტური სისტემის შექმნა, რომელში ობიექტები ნებაყოფლობით ჩაერთვებიან;
- საჭიროა ბიუროკრატის გამარტივება თბილისის ძველ უბნებში სასტუმროების მშენებლობის ხელშეწყობისთვის;
- საჭიროა ვიზიტორების ტიპების ანალიზი და კლასიფიკაცია ქვეყნების მიხედვით, რის მიხედვითაც მოხდება სარეკლამო აქტივობის დაგეგმვა.

რეფორმეტრი

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

www.reformeter.iset-pi.ge

რეფორმის მიმოხილვა

ტურიზმის განვითარება
I ფაზა



ISET

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს

ტურიზმის

სტრატეგია

2025

სამოქმედო
გეგმა

5 წლიანი

სტრატეგიის მიზანი

გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას

რას უნდა მიაღწიოს ქვეყანამ 2025 წლისთვის?

საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით.

ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს.

სტრატეგიული ამოცანები

50 პრიორიტეტული აქტივობა

8 სტრატეგიული ამოცანა

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა
2. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის მიზნით
3. ეფექტური მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან;
ასევე, შიდა ტურიზმის სტიმულირება
4. კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების მეშვეობით
5. საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენება უნიკალური ტურისტული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით

სტრატეგიული ამოცანები

5. საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენება უნიკალური ტურისტული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით
6. საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა
7. ტურიზმის სფეროში მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე, სექტორის განვითარების შეფასების შესაძლებლობების გაუმჯობესება
8. ზემოხსენებული ამოცანების მისაღწევად პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის

რეფორმები

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ


რაოდენობრივი მაჩვენებლები

ტურიზმის განვითარება
I ფაზა




ISET


საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტები




საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები




საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა, ქვეყნების ჯგუფების მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტები რიგითობის მიხედვით




საერთაშორისო ვიზიტორები შემოსავლის კატეგორიის მიხედვით




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
შემოსავლების მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაცია - მსოფლიო ბანკი

ვიზიტორების სტრუქტურა კმაყოფილების დონის მიხედვით




საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გათვული ღამეების საშუალო რაოდენობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხო ქვეყნის მოქალაქეების გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა საზღვრის კვეტების შესაბამისად




წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა)




* წინასწარი მონაცემი




შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან




ტურიზმის წილი მშპ-ში




დამატებული ღირებულება ტურიზმის სექტორში, სექტორების მიხედვით




საერთაშორისო მოგზაურის საშუალო დანახარჯი



ვიზიტორების საშუალო ხარჯი ერთ ვიზიტზე კატეგორიების მიხედვით



საერთაშორისო ტურიზმი საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე




2017 წელი

1.74 ტურისტების რაოდენობა ერთ მოსახლეზე, საქართველოში

0.18 ტურისტების რაოდენობა ერთ მოსახლეზე, მსოფლიოში

ერთ მოსახლეზე საქართველოში ტურისტების რაოდენობა 9.8-ჯერ აღემატება მსოფლიოში ერთ მოსახლეზე ტურისტების რაოდენობას.

ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის ინდექსი



მოდური ვიზიტორი



- ასაკი, სქესი
- ვიზიტის მიზანი
- კმაყოფილება
- მოქალაქეობის ქვეყანა
- მონახულებული რეგიონი
- ჩამოსვლის პერიოდი
- ტრანსპორტის სახეობა

რეფორმეტრი

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

www.reformeter.iset-pi.ge